ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № GSH 270902

(კონსოლიდირებული ტენდერი CON 160000038) 27 სექტემბერი. 2016 წ.

ერთი მხრივ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ხმალაძის სახით , და მეორეს მხრივ - შპს „ჯეო თაირს Geo Tires“ (შემდგომში “მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ბუეაქ აქქაია სახით, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2015-2016 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2246 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთაგანმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთამიერ.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“„მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითიშესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა,თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებსსაქონლის შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებისფარგლებში

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „სატენდერო კომისია“ - „2015-2016 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2246 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდეროკომისია.

1.8. „ფორს-მაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი,,შემსყიდველისა“
და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათშესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების (დანართი #1-ის შესაბამისად) საბურავები, რომლებიც აკმაყოფილებენ 2016 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON 160000038) სატენდერო დოკუმენტაციებითა და მათი დანართებით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის: 4 ცალი ზამთრის სეზონის საბურავი, ზომით R13 175/70 ;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. საბურავის ერთეულის ღირებულება შეადგენს: საბურავი, ზომით R13 175/70 - 62,00 (სამოცდაორი) ლარი.

3.2. საბურავების ფასი მოიცავს მათი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

3.3. ხელშეკრულებისჯამურიღირებულებაშეადგენს 248.00 (ორას ორმოცდარვა ლარი და 00 თეთრი) ლარს.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორებისწესი

4.1. „მიმწოდებელი“ აწვდის „შემსყიდველს“ 2016 წლის 01 ნოემბრიდან დან 2016 წლის 10 ნოემბრამდე.

4.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.4. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.5. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო

დღის ვადაში დააადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთ ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და სატენდერო დოკუმენტაციის დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტისმიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობებისდაღვევისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%.

6.3. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ის ოდენობით.

6.4. სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესასყიდი საქონლის მიწოდების ვადებისა და ხარისხის კონტროლს.

8.ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე

არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტისწესი

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
9.3. მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

10. სხვაპირობები

10.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
10.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
10.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (2 შემსყიდველთან, ხოლო 1 მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულენაზე.
10.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთამიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედებისვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წ. 31 დეკემბრამდე ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16.
სახელმწიფო ხაზინა,
ხაზინის ერთიანი ანგარიში,
ბანკის კოდი TRESGE22,
მიმღების ანგარიში №707217057
საიდ. კოდი: 205297935

_____

მიხეილ ხმალაძე
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „ჯეო თაირს Geo Tires“
იურიდ. მის.: ქ. თბილისი, გულუას 1 ხეივნის 6 და 8 მიმდებარედ
ფაქტ. მის.: ქ. თბილისი, გულუას ქ. 6/8
ს/კ: 401987329
ტელ: 2240150; 595 019 027
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიშის №GE06TB7442036080100002

_____

დირექტორი
ბურაქ აქქაია

B. Akkaya

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისის 3 ნოემბერი 2016

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ერთის მხრივ სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მრჩეველი პაატა პაიჭაძე (შემდგომში „შემსყიდველი“) სახით.

და მეორე მხრივ შპს „ჯეო თაირს“ წარმომადგენელი მის დირექტორი ბურაკ აკკაია (შემდგომში „მომწოდებელი“) სახით.

ვადგენთ წინამდაბარე აქტს მასზედ, რომ მხარეების შორის 2016 წლის გაფორმებული N 270902 ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია შემდგომი მომსახურება:

შემსყიდველს მიაწოდა 4 ცალი საბურავი (საბურავის ზომა 175/70-R13 Habilead ჩინური ზამთრის) ერთეულის ფასი ლარი 62 ლარი, საერთო ღირებულებით 248 ლარი .

მანქანის მოდელი	კია პიკანტო
სახელმწიფო ნომერი	TQ-747-TQ
მანქანის გარბენი	47230

ჩააბარა:

დირექტორი ბურაკ აკკაია

მიიღო:

სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს

დირექტორის მრჩეველი პაატა პაიჭაძე

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს

ბატონ მიხეილ ხმალაძეს

ამავე სააგენტოს დირექტორის

მრჩეველის პაატა პაიჭაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო მიხეილ,

მოგახსენებთ, რომ სააგენტოს ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებს ს/ნ TQ747TQ (Kia Picanto) ესაჭიროებათ ოთხი ერთეული საბურავების (ზომის R 13 155/70) შეძენა და დაყენება.

გაცნობებთ, რომ საბურავების შეძენა შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის CON160000038 კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე, რომლისღირებულება შეადგენს 264 ლარს (ერთი საბურავი 66 ლარი).

გთხოვთ, თქვენს დაავალოთ შესაბამის სამსახურს ზემოთაღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საბურავების შეძენისა და მონტაჟის თაობაზე.

პატივისცემით,

პაატა პაიჭაძე

სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
დოკუმენტის № 585
27 09 2016 წ.
უფროსი 1